თიბისი კაპიტალი

ზოგადი & უმაღლესი **განათლება**

ივლისი 2025

ირაკლი ურგებაშვილი
ასოცირებული მკვლევარი, კვლევები

თეა პავლიაშვილი
უმცროსი ანალიტიკოსი, კვლევები

ირინა კვახაძე
უფროსი ვიცე პრეზიდენტი, კვლევები

მოკლე მიმოხილვა

ზოგადი განათლება

2024/25 სასწავლო წელს საქართველოს სკოლებში ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობამ 640.7 ათასს მიაღწია, რაც წლიურად 1.0%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. აქედან 570.4 ათასი მოსწავლე (89%) საჯარო, ხოლო 70.3 ათასი (11%) კერძო სკოლებში სწავლობს.

საქართველოში სკოლების საერთო რაოდენობა 2,294-მდე შემცირდა, რაც სრულად კერძო სკოლების რაოდენობის შემცირებით არის განპირობებული. ამჟამად, საქართველოში 2,086 საჯარო და 208 კერძო სკოლა ფუნქციონირებს.

კერძო დაწესებულებების რაოდენობის შემცირებას ისეთი ფაქტორები იწვევს, როგორიცაა სკოლების შერწყმა და შეძენა, ასევე, ავტორიზაციის პრობლემები.

თბილისში კერძო სკოლებისა და კერძო სკოლების მოსწავლეთა ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა. დედაქალაქში 109 კერძო სკოლაა, სადაც 45.5 ათასი მოსწავლე სწავლობს. კერძო სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი თბილისში 19.8%-ია, რაც ქვეყანაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება სწავლის საფასურს, თბილისის კერძო სკოლების 47%-ში სწავლის წლიური საფასური 6,000-დან 12,000 ლარამდე მერყეობს, ხოლო 24%-ში 12,000 ლარზე მეტია.

კერძო სექტორმა 2023 წელს 242 მილიონი ლარი გამოიმუშავა, რაც წინა წელთან შედარებით 21%-ით მეტია. ეს ზრდა განპირობებული იყო როგორც სწავლის საფასურის, ასევე, კერძო სკოლებში ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობის ზრდით.

უმაღლესი განათლება

2024/25 სასწავლო წლის მონაცემებით, უმაღლეს სასწავლებლებში სულ 187.8 ათასი სტუდენტია ჩარიცხული. ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები საერთო რაოდენობის 67%-ს შეადგენს, ხოლო 31% მაგისტრატურის საფეხურზე სწავლობს. სტუდენტების 42% კერძო უნივერსიტეტებში სწავლობს და ეს წილი დროთა განმავლობაში მზარდია.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა, ასევე, მიმზიდველია არარეზიდენტი სტუდენტებისთვის. 2024/25 აკადემიურ წელს საქართველოს უნივერსიტეტებში 37.1 ათასი უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, მათი 85% კი კერძო უნივერსიტეტში ირიცხებოდა (2019/20: 78%). არარეზიდენტი სტუდენტების 55% ინდოეთიდანაა.

კერძო უნივერსიტეტებში საბაკალავრო პროგრამის საშუალო საფასური 4,909 ლარს შეადგენს. შემოთავაზებული პროგრამებიდან 56% 4,000 ლარამდე საფასო კატეგორიაში ხვდება. პროგრამების 22%-ის საფასური 4,001-6,000 ლარამდე მერყეობს, ხოლო 6,000 ლარს პროგრამების 22% აჭარბებს.

ზოგადი განათლება რიცხვებში

2024/25 სასწავლო წლისთვის საქართველოში 2,294 სკოლაა რეგისტრირებული. აქედან 2,086 სკოლა საჯარო, ხოლო 208 სკოლა კერძო სექტორს ეკუთვნის. კერძო სკოლების რიცხვი წლიდან წლამდე კლებადია, რაც შერწყმა-გაერთიანების ტრანზაქციებსა და ავტორიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს უკავშირდება.

მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოში მზარდია და 2024/25 სასწავლო წლისთვის 640.7 ათასს მიაღწია. აქედან კერძო სექტორში 70.3 ათასი მოსწავლე - მოსწავლეთა 11% სწავლობს.

კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა წლიდან წლამდე მზარდია, რაც სწავლის უკეთესი ხარისხით და მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლებით აიხსნება.

გრაფიკი 1. სკოლების რაოდენობა ტიპების მიხედვით



გრაფიკი 2. მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო & კერძო სკოლებში, '000



წყარო: საქსტატი

ზოგადი განათლება რიცხვებში

2024/25 სასწავლო წლისთვის, საჯარო სკოლებში, საშუალოდ ერთ მასწავლებელზე 9.8 მოსწავლე მოდის, ხოლო იგივე მაჩვენებელი კერძო სკოლებში 9.0 მოსწავლეს უტოლდება. ორივე შემთხვევაში მაჩვენებელი წლიურად შემცირებულია, რადგან მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა მეტი აღმოჩნდა მოსწავლეთა რაოდენობის ზრდაზე. მიუხედავად ამისა, მიმდინარე მაჩვენებლები მაინც მაღალია წარსულ მაჩვენებლებთან შედარებით.

2024/25 სასწავლო წელს, კერძო სკოლებში საშუალოდ 338 მოსწავლე სწავლობდა, საჯარო სექტორის შემთხვევაში კი იგივე მაჩვენებელი 273 მოსწავლეს უტოლდება.

მოსალოდნელია, რომ მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძო სკოლებში მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა მომავალშიც გააგრძელებს ზრდას.

გრაფიკი 3. მოსწავლეების საშუალო რაოდენობა ერთ მასწავლებელზე



გრაფიკი 4. მოსწავლეების საშუალო რაოდენობა საჯარო და კერძო სკოლებში



წყარო: საქსტატი

კერძო სკოლები: საქართველო

როგორც აღინიშნა, კერძო სკოლების რაოდენობა წლების განმავლობაში მცირდება. მათი რიცხვი მცირდება როგორც თბილისში, ასევე, საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში.

მეორე მხრივ, კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა მზარდია, თუმცა, ზრდა ძირითადად თბილისის და ბათუმის ხარჯზეა. ბოლო 6 წლის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდა თბილისში 4.0%-ს, ხოლო ბათუმში 3.6%-ს შეადგენს, სხვა დიდ ქალაქებში კი მოსწავლეთა კლება შეინიშნება.

საქართველოს მასშტაბით, კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 6 წლის განმავლობაში 2.6%-ით იზრდებოდა.

გრაფიკი 5. კერძო სკოლების რაოდენობა საქართველოში



გრაფიკი 6. მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოს კერძო სკოლებში



წყარო: საქსტატი

კერძო სკოლები: თბილისი

თბილისში კერძო სკოლების უმეტესობა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზეა თავმოყრილი, ჯამურად 49 ერთეული. მეორე ადგილს გლდანი-ნაძალადევი იკავებს 22 კერძო სკოლით, ხოლო სამეულს ისანი-სამგორი კრავს 16 ერთეული კერძო სკოლით.

ვაკე-საბურთალო ასევე ლიდერია მოსწავლეთა რაოდენობით - 2024/25 სასწავლო წლისთვის აღნიშნული რაიონის კერძო სკოლებში 22,334 მოსწავლე სწავლობდა, და ეს მაჩვენებელი წლიურად 11%-ითაა გაზრდილი. ბოლო 6 წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა ვაკე-საბურთალოს კერძ სკოლებში საშუალოდ წლიურად 6.1%-ით იზრდებოდა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონში მოსწავლეთა რაოდენობა წლიურად 8%-ით, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთში 5%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 7. კერძო სკოლები თბილისის უბნების მიხედვით, 2024/25 სასწავლო წელი



გრაფიკი 8. კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა თბილისის უბნებში



წყარო: საქსტატი

კერძო სკოლები: ბაზრის წილი

კერძო სკოლებში ჩართვის მაჩვენებლები, განმარტებული როგორც კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ფარდობა მოსწავლეთა ჯამურ რაოდენობასთან, განსხვავებულია დიდი ქალაქების მიხედვით. მაშინ, როცა 2024/25 სასწავლო წლისთვის ეროვნული საშუალო 11.0%-ია, თბილისში ეს მაჩვენებელი 19.8%-ს შეადგენს, ხოლო ბათუმის შემთხვევაში 18.6%-ია.

კერძო სკოლაში მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებელი, ასევე, განსხვავებულია ქალაქების მიხედვით. საქართველოში, საშუალოდ, ეს მაჩვენებელი 338-ია, ხოლო თბილისის შემთხვევაში 417 მოსწავლეს უტოლდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბათუმშია - საშუალოდ 449 მოსწავლე ერთ კერძო სკოლაში.

გრაფიკი 9. კერძო სექტორის წილი ქალაქებში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, %, 2024/25 სასწავლო წელი



გრაფიკი 10. კერძო სკოლებში მოსწავლეების საშუალო რაოდენობა



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

კერძო სკოლები: ღირებულება

კერძო სკოლებში სწავლის საფასურზე რამდენიმე ცვლადია პასუხისმგებელი, მათ შორის, პერსონალი და მათი კვალიფიკაცია, სასწავლო გეგმა, ინფრასტრუქტურა, ადგილმდებარეობა, დამატებითი აქტივობები მოსწავლეებისთვის და სხვა.

თბილისში კერძო სკოლების დაახლოებით 27%-ში სწავლის წლიური საფასური 6,000 ლარზე ნაკლებია ხოლო კერძო სკოლების 46%-ის შემთხვევაში წლიური საფასური 6,000-დან 12,000 ლარამდე მერყეობს. წლიური საფასური 12,000 ლარზე ზემოთ სკოლების დაახლოებით 27%-ს აქვს განსაზღვრული.

საფასო კატეგორიების მიხედვით კერძო სკოლებში განსხვავებულია როგორც სწავლის ხარისხი, ასევე, ინფრასტრუქტურა და ადგილმდებარეობა.

გრაფიკი 11. სწავლის წლიური საფასურის ცვლილება კერძო სკოლებში, პერიოდის ბოლოს



გრაფიკი 12. თბილისის კერძო სკოლების განაწილება სწავლის წლიური საფასურის მიხედვით, ლარი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

ფინანსური მაჩვენებლები

საჯაროდ გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით, კერძო სკოლების შემოსავლები წლიდან წლამდე მზარდია და 2023 წელს 242 მილიონ ლარს მიაღწია, რაც წლიურად 21%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. სწავლის გაზრდილი გადასახადი და მოსწავლეთა რაოდენის ზრდა ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაა.

2023 წელს EBITDA მარჟა 19%-ს გაუტოლდა, როცა იგივე მაჩვენებელი პანდემიურ წელს 25%-ის ტოლი იყო. თუმცა, პანდემიურ წელს მიღწეული მაჩვენებელი მეტწილად საოპერაციო ხარჯების შემცირებით იყო გამოწვეული.

წმინდა მოგების მარჟა 2023 წელს 12%-ია, რაც, ასევე, წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

2-23 წლისთვის უკუგება აქტივებსა და საკუთარ კაპიტალზე, შესაბამისად, 6% და 13%-ის ფარგლებშია.

გრაფიკი 13. კერძო სკოლების ჯამური შემოსავალი, მლნ. ლარი



გრაფიკი 14. შერჩეული ფინანსური მაჩვენებლები კერძო სკოლებისთვის



წყარო: Reportal, თიბისი კაპიტალი

ფინანსური მაჩვენებლები

მიმდინარე კოეფიციენტმა 2023 წელს 2.8-ს მიაღწია, რაც გაანალიზებულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. გაუმჯობესებული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ კერძო სკოლები მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ძლიერ პოზიციაში არიან.

ვალის ჯერადობის კოეფიციენტი 2023 წელს 8.1-ს შეადგენს, რაც პრეპანდემიურ მაჩვენებელს ჩამორჩება. კლება გამოწვეულია ფინანსური ვალდებულებების ზრდასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯების ზრდით.

D/A კოეფიციენტი 2023 წელს 0.29-ს შეადგენს. ცვლილება უმნიშვნელოა, რაც მიუთითებს, რომ აქტივების ზრდა ახალი სესხების ზრდასთან ერთად მიმდინარეობს. D/E კოეფიციენტი 2023 წელს წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა და 0.58-ს მიაღწია, მაგრამ 2019 წლის პიკზე გაცილებით ნაკლებია.

გრაფიკი 15. შერჩეული ფინანსური მაჩვენებლები კერძო სკოლებისთვის

წყარო: Reportal, თიბისი კაპიტალი

უმაღლესი განათლება

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მოიცავს უნივერსიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ როგორც ბაკალავრიატის, ასევე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს; სასწავლო უნივერსიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს; და კოლეჯებს, რომლებსაც მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვთ. 2024/25 სასწავლო წელს საქართველოში 33 უნივერსიტეტი, 24 სასწავლო უნივერსიტეტი და 6 კოლეჯი ფუნქციონირებს.

კერძო სექტორში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა გრძელვადიან პერიოდში შემცირებით ხასიათდება, ძირითადად შერწყა-შესყიდვის და ბაზრიდან გასვლის გამო.

გრაფიკი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები



გრაფიკი 17. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საფეხურების მიხედვით, 2024/25 სასწავლო წელი



წყარო: საქსტატი, ნაეც, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

სტუდენტთა განაწილება

სტუდენტთა რაოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე მზარდია. 2024/25 აკადემიურ წელს საქართველოს უნივერსიტეტებში 187.8 ათასი სტუდენტი სწავლობდა საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიულ პროგრამებზე. აქედან 67% სწავლობს საბაკალავრო, ხოლო 31% სამაგისტრო პროგრამებზე.

სტუდენტების საერთო რაოდენობიდან კერძო უნივერსიტეტებში 42%, 79.4 ათასი სტუდენტი სწავლობს და ეს მაჩვენებელი გრძელვადიან პერიოდში მზარდია, განსაკუთრებით კი ბოლო 3 წლის განმავლობაში. მზარდი ტენდენცია მიუთითებს სტუდენტების შეცვლილ მოთხოვნებზე უმაღლესი განათლების მიმართ, ხოლო აისახება კერძო უნივერსიტეტებზე გაზრდილ მოთხოვნაში.

გრაფიკი 18. სტუდენტების განაწილება განათლების საფეხური მიხედვით, '000



გრაფიკი 19. სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, '000



წყარო: საქსტატი; შენიშვნა: მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა

უცხოელი სტუდენტები

ბოლო 4 წლის განმავლობაში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოში თითქმის გაორმაგდა. 2024/25 სასწავლო წელს საქართველოში 37.1 ათასი უცხოელი სტუდენტი სწავლობს, რაც წლიურად 21%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. აქედან 15% სწავლობს საბაკალავრო, ხოლო 85% სამაგისტრო და სამედიცინო პროფილის უმაღლესი განათლების პროგრამებზე.

2024/25 აკადემიურ წელს უცხოელი სტუდენტების 55% ინდოეთიდან, 7% იორდანიიდან, ხოლო 6% ისრაელიდანაა.

გრაფიკი 20. არარეზიდენტი სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის მიხედვით, '000



გრაფიკი 21. არარეზიდენტი სტუდენტები საქართველოს უნივერისტეტებში რეზიდენტობის მიხედვით, 2024/25 სასწავლო წელი



წყარო: საქსტატი; შენიშვნა: მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამა, რეზიდენტურა

აუცილებელი ხარჯები

უმაღლეს განათლებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდ როლს თამაშობს ქირა და ფასები სამომხმარებლო საქონელზე. ეს მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს რეზიდენტისთვის, რომელიც თბილისში, სადაც უნივერსიტეტების უმეტესობაა თავმოყრილი, აპირებს სწავლის გაგრძელებას, ასევე, არარეზიდენტებისთვის.

ქირის ფასები განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან, მიგრანტების შემოსვლასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ქირა შემცირებულია, ის მაინც მნიშვნელოვნად მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

პარალელურად, მზარდია ფასები სამომხმარებლო საქონელზე, თუმცა, ზრდა შედარებით ნელია.

გრაფიკი 22. საქართველოს წლიური საშუალო ქირის ინდექსი, ლარი (2021=100)



გრაფიკი 23. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (2021=100)



წყარო: თიბისი კაპიტალი, სებ, საქსტატი; შენიშვნა: *იანვარი - ივნისი

საბიუჯეტო ხარჯები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, დანახარჯები უმაღლეს განათლებაზე წლიურად 3%-ით, 171 მილიონ ლარამდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ხარჯები ბოლო პერიოდში ყოველწლიურად მზარდია გარდა 2022 წლისა, რაც სტუდენტური გრანტების კლებით იყო გამოწვეული.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში, უმაღლეს განათლებაზე დაგეგმილი ხარჯების 79%, 136 მილიონი ლარი, გათვალისწინებულია სტუდენტურ გრანტებზე, რაც ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. დაახლოებით 20 მილიონი ლარი (ჯამური დაგეგმილი ხარჯების 12%) გამოცდების ორგანიზებას, ხოლო 5% საერთაშორისო სასწავლო გრანტებს მოხმარდება.

გრაფიკი 24. სახელმწიფო დანახარჯები უმაღლეს განათლებაზე, მლნ. ლარი



გრაფიკი 25. სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილება უმაღლეს განათლებაზე



წყარო: საქართველო ფინანსთა სამინისტრო; შენიშნვა: * დაგეგმილი

საბაკალავრო პროგრამები

სტუდენტების პრეფერენციები

ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით, 100-მა საუკეთესო აბიტურიენტმა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აირჩია. თუმცა, 2024/25 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის წილი 70%-მდე გაიზარდა, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის წილი 25%-მდე შემცირდა.

მაღალი შედეგების მქონე სტუდენტები სწავლას, ძირითადად, პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით აგრძელებენ. ბოლო 4 წლის მონაცემებით, ამ მიმართულებით საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტების 90%-ზე მეტი სწავლობს.

გრაფიკი 26. 100 საუკეთესო აბიტურიენტის განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით



გრაფიკი 27. 100 საუკეთესო აბიტურიენტის განაწილება სწავლის მიმართულების მიხედვით



წყარო: თიბისი კაპიტალი, ნაეც; შენიშვნა: ISET მიეკუთვნება თსუ-ს.

სტუდენტების პრეფერენციები

აღსანიშნავია, რომ მაღალია მოთხოვნა ისეთ უნივერსიტეტებზე, რომლებიც აბიტურიენტებს ე.წ. ნიშურ პროგრამებს სთავაზობენ, შედარებით ისეთ უნივერსიტეტებთან, რომლებსაც შეთავაზებული პროგრამების ფართო სპექტრი აქვთ. ასეთი შემთხვევები უფრო მეტია საჯარო უნივერსიტეტების შემთხვევაში.

კერძო უნივერსიტეტების შემთხვევაში, თავისუფალ უნივერსიტეტზე კვლავ მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება - ერთ ვაკანტურ ადგილზე მოთხოვნა საშუალოდ 1.9 სტუდენტმა დააფიქსირა. საკუთარ აპლიკაციაში დაახლოებით 40%-ით მეტმა აბიტურიენტმა გამოხატა სურვილი, ვიდრე შეთავაზებული ადგილების რაოდენობაა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. ასეთივე მაჩვენებელი აქვს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს.

გრაფიკი 28. საჯარო უნივერსიტეტები: პირველი პრიორიტეტი/შეთავაზებული ადგილები* 2024



გრაფიკი 29. კერძო უნივერსიტეტები: პირველი პრიორიტეტი/შეთავაზებული ადგილები, 2024



წყარო: ნაეც, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: *ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამების გარეშე

სტუდენტების პრეფერენციები

2024/25 სასწავლო წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყველაზე მეტი სტუდენტი მიიღო და გამოცხადებული ადგილების 89% შეავსო. ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტმა ვაკანტური ადგილების 91%-ით, ხოლო საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 88%-ით შევსება შეძლო.

კერძო უნივერსიტეტებს შორის ყველაზე მეტი სტუდენტი საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა მიიღო და ვაკანტური ადგილების 76% შეავსო.

გამოცხადებული ადგილების მიხედვით სამეულში არიან კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 83% და 47% შევსებული ადგილებით, შესაბამისად.

.

გრაფიკი 30. საჯარო უნივერსიტეტები: შეთავაზებული ადგილები და ჩარიცხვები



გრაფიკი 31. კერძო უნივერსიტეტები: შეთავაზებული ადგილები და ჩარიცხვები



წყარო: ნაეც

საბაკალავრო პროგრამის ფასები

საბაკალავრო პროგრამის საფასურზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის აკადემიური პერსონალის ხელფასები, ინფრასტრუქტურა და სხვა.

2024/25 აკადემიური წელს შეთავაზებული საბაკალავრო პროგრამების 56%-ის საფასური წლიურად 4,000 ლარი ან ნაკლები იყო და ამ საფასო კატეგორიაში არსებული პროგრამების წილი წლიდან წლამდე მცირდება.

პროგრამების 22%-ის ღირებულება 4,001-დან 6,000 ლარის ჩათვლითაა, ხოლო 6,000 ლარზე მეტი ღირებულების პროგრამების წილი 22%-ს შეადგენს და ამ შემთხვევაშიც მათი წილი გაზრდილია - 10 პროცენტული პუნქტით 2021/22 სასწავლო წელთან შედარებით.

2024/25 წელს შეთავაზებული საბაკალავრო პროგრამების საშუალო ფასმა 4,909 ლარს მიაღწია და მზარდი ტენდენცია შეინარჩუნა.

გრაფიკი 32. სასწავლო პროგრამების საფასო კატეგორიები კერძო უნივერსიტეტებში, ლარი



გრაფიკი 33. საფასო კატეგორიები შერჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში, ლარი, 2024/25 სასწავლო წელი



წყარო: ნაეც, თიბისი კაპიტალი

შინამეურნეობათა შემოსავლები

2024 წლისთვის, საბაკალავრო პროგრამის საშუალო ღირებულება შინამეურნეობის საშუალო შემოსავლის 22%-ს შეადგენს. მიუხედავად საბაკალავრო პროგრამების გაძვირებისა, შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება და შესაბამისად, ნაკლებ წილს იკავებს შემოსავალში, რაც გაზრდილ ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს.

მეორე მხრივ, იზრდება როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე, მზარდია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა ხელფასი საშუალო და მაღალ კატეგორიაში კლასიფიცირდება, რაც ხელს უწყობს შინამეურნეობების მიერ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსებას და საბოლოო, მეტ ხელმისაწვდომობაში აისახება.

გრაფიკი 34. შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი და საბაკალავრო პროგრამის საშუალო თვიური გადასახადი,* ლარი



გრაფიკი 35. ხელფასის მიმღებთა რაოდენობა შემოსავლის დიაპაზონის მიხედვით, '000 ადამიანი (გადასახადების ჩათვლით)



წყარო: შემოსავლების სამსახური, საქსტატი; შენიშვნა: *კერძო უნივერსიტეტებში

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პროფესიული განათლების მიმღებთა რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა და 2024 წელს 17 ათას სტუდენტს მიაღწია.

ინჟინერია ერთ-ერთი მოთხოვნადი პროგრამაა, რომელზეც 2024 წელს სტუდენტების 25%-მა გადაწყვიტა სწავლა. სერვისებთან დაკავშირებული პროგრამები სტუდენტების 18%-ს ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების დაუფლება დაახლოებით 17%-მა გადაწყვიტა.

2024 წლისთვის ქვეყნის მასშტაბით პროფესიულ პროგრამებს პოტენციურ აპლიკანტებს 122 დაწესებულება სთავაზობდა. ზრდა, ძირითადად, გამოწვეულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ პროგრამების შეთავაზებით.

გრაფიკი 36. პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით



გრაფიკი 37. აქტიური პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა



წყარო: საქსტატი

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუოა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 Marjanishvili Str., Tbilisi 0102, Georgia
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733
Email: Research@tbccapital.ge
Email: Macro@tbcbank.com.ge
www.tbccapital.ge
www.investing.tbccapital.ge

თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge